

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი №24

(23.03.2018)

საბჭოს სხდომის სიითი შემადგენლობის 215 წევრიდან დაესწრო 190 წევრი

(დასწრების სია თან ერთვის ოქმს).

### დღის წესრიგი

1. პირველკურსელ მაგისტრანტთა თემებისა და მეცნიერ-ხელმძღვანელების დამტკიცება.

მომხსენებელი პროფესორი ნ. მურღულია;

2. სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირება.

მომხსენებელი პროფესორი მ. ჯავახიშვილი

3. ინფორმაცია ფაკულტეტის სტრუქტურაში, დებულებაში და შტატებში ცვლილების შესახებ.

მომხსენებელი პროფესორი გ. გურეშიძე;

4. ფაკულტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების შესახებ ინფორმაცია.

მომხსენებელი პროფესორი გ. გურეშიძე;

5. მიმდინარე საკითხები;

**1. მოისმინეს** ფაკულტეტის დეკანის მოადგილის პროფესორ ნ. მურღულიას ინფორმაცია ფაკულტეტის პირველკურსელ მაგისტრანტთა თემებისა და მეცნიერ-ხელმძღვანელთა დამტკიცების შესახებ. მომხსენებელმა საბჭოს გააცნო პირველკურსელთა 108 მაგისტრანტის თემები და მეცნიერ-ხელმძღვანელები. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, თემები განხილული და დამტკიცებული იყო დეპარტამენტებში, შერჩეულ იქნა ხელმძღვანელები და ამის შემდეგ წარმოდგენილ იქნა საბჭოზე დასამტკიცებლად. თემების დასახელება და მაგისტრანტების მეცნიერ-ხელმძღვანელების სია თან ერთვის ოქმს.

საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი პირველკურსელი მაგისტრანტების თემებისა და მეცნიერ-ხელმძღვანელების დამტკიცებას.

**2. მოისმინეს** ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის პროფესორ მ. ჯავახიშვილის ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების შესახებ. აღინიშნა, რომ ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის პროგრამების ახლებურად გადამუშავების გამო, მოხდა პროგრამების გამსხვილება, ხოლო ზოგიერთი მათგანის გაუქმება. ბაკალავრიატში არის 4 პროგრამა, გაუქმდა 2, მაგისტრატურაში არის 3 პროგრამა, გაუქმდა 1 პროგრამა, დოქტორანტურაში არის 6 პროგრამა და გაუქმდა 2 პროგრამა.

ბაკალავრიატში იყო 374 სასწავლო კურსი, დარჩა 119.

მაგისტრატურაში იყო 304 სასწავლო კურსი, დარჩა 150.

**აზრი გამოთქვას:** პროფესორებმა ტ. კვიციანმა და ა.დავითაშვილ-ბაგრატიონმა. მათ დადებითად შეაფასეს წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების საკითხი.

**დაადგინეს:** საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილი სახით საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებას.

**3. მოისმინეს:** ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გ. გურეშიძის ინფორმაცია ფაკულტეტის სტრუქტურაში, დებულებაში და შტატებში ცვლილების შესახებ.

**აზრი გამოთქვას** პროფესორებმა: დ.გურგენიძემ, ა. ჩიქოვანმა, დ. ტაბატაძემ, თ.ხმელიძემ.

**დაადგინეს:** ფაკულტეტის მენეჯერის მიერ წარმოდგენილი ცვლილებები ფაკულტეტის სტრუქტურაში, დაბულებასა და საშტატო განრიგში წარდგენილ იქნას აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად.

**4. მოისმინეს** ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გ. გურეშიძის ინფორმაცია ფაკულტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების შესახებ.(დანართი ერთვის ოქმს).

**5. მიმდინარე** საკითხებში მოისმინეს: ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გ. გურეშიძის ინფორმაცია პროფესორების დ. გურგენიძის, რ. იმედაძის, ასოცირებული პროფესორების გ.მეტრეველის, თ. მაღრაძის, მ. მანჯავიძის წიგნის „ სამშენებლო კონსტრუქციების მდგომარეობის კვლევა“ თანადაფინანსებით (700 ლარი) დაფინანსების შესახებ.

**აზრი გამოთქვას** პროფესორებმა: მ. მურღულიამ და დ. ტაბატაძემ. მათ აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი სახელმძღვანელო საჭიროა მაგისტრანტებისათვის და ის დაეხმარება მათ კონსტრუქციების კვლევაში.

**დაადგინეს:** სამშენებლო ფაკულტეტის საბჭო მხარს უჭერს წარმოდგენილი სახელმძღვანელო „სამშენებლო კონსტრუქციების მდგომარეობის კვლევა“ დაფინანსდეს და გადაეცეს დასაბეჭდად.

**დადგენილება მიღებული ერთხმად.**

**მოისმინეს:** ფაკულტეტის მენეჯერის ინფორმაცია, ფაკულტეტის სრული პროფესორის ალექსანდრე დავითაშვილ-ბაგრატიონის და ასოც. პროფესორის კონსტანტინე ბზიავას, საგანმანათლებლო პროგრამის მილენიუმ-საქართველოს პროექტის ფარგლებში, აშშ-ს ქალაქ სან-დიეგოში მივლინების დღიური ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

**აზრი გამოთქვას:** პროფესორებმა ი. ქადარია, მ. ჯავახიშვილმა.

**დადგინდეს:** პროფესორ ალექსანდრე დავითაშვილ-ბაგრატიონსა და ასოც. პროფესორს კონსტანტინე ბზიავას გამოეყოს თითოეულს 660 დოლარი ფაკულტეტის სამივლინებო მუხლიდან.

**დადგენილება მიღებული ერთხმად.**

სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს

თავმჯდომარე, პროფესორი

დ. გურგენიძე

სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს

მდივანი, პროფესორი

რ. იმედაძე